საერთო სპეციალიზაციის პატენტრწმუნებულთა
2025 წლის საკვალიფიკაციო გამოცდის დავალებების ნიმუშები

გამოცდის ფორმატი, სტრუქტურა და შეფასება

საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით 2 ეტაპად, ფიზიკურ ფორმატში.

საკვალიფიკაციო გამოცდის I ეტაპის მიზანია პატენტრწმუნებულის უფლებამოსილების განხორციელებისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნის შემოწმება/შეფასება. ხოლო, საკვალიფიკაციო გამოცდის II ეტაპის მიზანია პატენტრწმუნებულის უფლებამოსილების განხორციელებისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმება/შეფასება.

I ეტაპი – ტესტური გამოცდა

საკვალიფიკაციო გამოცდის I ეტაპი შედგება 50 ტესტური დავალებისაგან. თითოეული ტესტური დავალება შედგება პირობისა და 4 სავარაუდო პასუხისაგან, 1 სწორი პასუხით. **იხ. ქვემოთ წარმოდგენილი ტესტური დავალებების ნიმუშები.**

ხანგრძლივობა: 2 სთ.

საკვალიფიკაციო გამოცდის I ეტაპი ტარდება სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. ტესტური გამოცდის პასუხები გამოცდის დასრულებისთანავე ხდება ცნობილი გამოსაცდელისათვის

ტესტური დავალების თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი კი – 0 ქულით. თუ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული, ტესტი ფასდება 0 ქულით.

ტესტური გამოცდის მინიმალური შეფასებაა 0 ქულა, ხოლო მაქსიმალური შეფასება – 50 ქულა.

ტესტური გამოცდა ჩაბარებულად ითვლება გამოსაცდელის მიერ 35 ან მეტი ქულის მიღების შემთხვევაში, რის შემდეგაც იგი უფლებამოსილია გავიდეს გამოცდის II ეტაპზე.

II ეტაპი – წერითი გამოცდა

საკვალიფიკაციო გამოცდის II ეტაპი შედგება 1 კაზუსის ტიპის წერითი დავალებისაგან 5 პირობით (კომპონენტით). **იხ. ქვემოთ წარმოდგენილი წერითი დავალების ნიმუში.**

ხანგრძლივობა: 3 სთ.

წერითი დავალება სრულდება პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით, ინტერნეტზე წვდომის გარეშე. საკვალიფიკაციო გამოცდის II ეტაპზე გამოსაცდელს შეუძლია გამოიყენოს ნორმატიული აქტები, რომელზე წვდომაც უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით.

წერითი დავალების მინიმალური შეფასებაა 0 ქულა, ხოლო მაქსიმალური – 50 ქულა. გამოსაცდელს წერითი დავალება ჩაბარებულად ჩაეთვლება, თუ მისი ნაშრომი შეფასდება 25 ან მეტი ქულით.

საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებულად ითვლება გამოსაცდელის მიერ გამოცდის ორივე ეტაპისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვრის გადალახვის შემთხვევაში.

საგამოცდო დავალებები შედგენილია „საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფორმის, წესისა და საგამოცდო პროგრამის, საქართველოს პატენტრწმუნებულთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის ფორმისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2025 წლის 31 იანვრის №11 ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ით განსაზღვრული საგამოცდო პროგრამის შესაბამისად.

ტესტური დავალებების ნიმუშები

დავალება №1

2025 წლის 20 ივნისს ქ. სტამბოლში (თურქეთის რესპუბლიკა) გამართულ საერთაშორისო სამედიცინო კონგრესზე ქართულმა კომპანიამ ადამიანის ტვინზე ქირურგიული ჩარევით მკურნალობის ახალი მეთოდი/ხერხი წარადგინა. აღნიშნული მეთოდის საქართველოში დაცვის მიზნით, კომპანიას სურს საქპატენტში საპატენტო განაცხადის წარდგენა.

საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, **რა შედეგით უნდა დასრულდეს ასეთი განაცხადის განხილვა?**

ა. საქპატენტი მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის თაობაზე, თუ განაცხადი 2025 წლის 20 დეკემბრამდე იქნება წარმოდგენილი.

ბ. საქპატენტი მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის თაობაზე, თუ დაკმაყოფილდება საგამომგონებლო დონის კრიტერიუმი.

გ. საქპატენტი მიიღებს უარყოფით გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის თაობაზე, რადგან მკურნალობის ხერხზე არ გაიცემა პატენტი.

დ. საქპატენტი მიიღებს უარყოფით გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის თაობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პატენტის გაცემაზე თანხმობას განაცხადებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დავალება №2

ქართველმა მეცნიერმა წყალმცენარის უჯრედში აღმოაჩინა ახალი ცილა, რომელიც უჯრედთა მემბრანების რეგენერაციას უწყობს ხელს.

საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, **შესაძლებელია თუ არა აღნიშნულთან დაკავშირებით საქპატენტში საპატენტო განაცხადის განხილვა?**

ა. არა, რადგან აღმოჩენა არ მიიჩნევა გამოგონებად.

ბ. არა, რადგან ბიოლოგიურ მეთოდებზე პატენტი არ გაიცემა.

გ. დიახ, რადგან ბიოლოგიურ აღმოჩენებზე ნებისმიერ შემთხვევაში შესაძლებელია პატენტის გაცემა.

დ. დიახ, თუ აღმოჩენა უშუალოდ არ წარმოადგენს განაცხადის საგანს.

დავალება №3

საქპატენტში საპატენტო განაცხადის წარდგენამდე 1 თვით ადრე განმცხადებელმა საკუთარი გამოგონება გამოაქვეყნა სამეცნიერო ჟურნალში.

საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, **ასეთი განაცხადის ობიექტს ექნება თუ არა სიახლე?**

ა. დიახ, რადგან განცხადების საქპატენტში წარდგენისთვის განმცხადებელს აქვს 6-თვიანი ვადა მის მიერვე გამოგონების გასაჯაროების თარიღიდან.

ბ. არა, რადგან გამოქვეყნება არ განხორციელებულა მესამე პირის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელების შედეგად.

გ. არა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გასაჯაროება მოხდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოში.

დ. დიახ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქპატენტი მიიჩნევს, რომ გასაჯაროება იყო ტექნიკური და არა – კომერციული.

დავალება №4

ტექნოლოგიურმა კომპანიამ შექმნა ახალი ტექნოლოგია, რომელიც მინას ანიჭებს თვითწმენდის თვისებას და ინფრაწითელი სხივებისადმი მედეგობას. კომერციალიზაციის საკითხზე განხილვები და მოლაპარაკებები წარმოებს სამშენებლო კომპანიასთან, თუმცა ხელშეკრულება მათ შორის ჯერჯერობით არ გაფორმებულა. სამშენებლო კომპანიამ პროექტი უკვე წარუდგინა თავის კლიენტს (მესამე პირს), რომელმაც ტექნოლოგიურ კომპანიასთან შეთანხმებით გუშინ საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა, რომ მისი ახალი სათავო ოფისი აღიჭურვება მინის რევოლუციური ტექნოლოგიით და მოკლედ აღწერა ეს ტექნოლოგია.

საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, **ჯერ კიდევ შესაძლებელია თუ არა ამ გამოგონების დაცვა პატენტით საქართველოში?**

ა. დიახ, თუ კომპანია განაცხადს შეიტანს გასაჯაროებიდან 12 თვის განმავლობაში.

ბ. დიახ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ვებგვერდს დიდი აუდიტორია ჰყავს.

გ. არა, რადგან გამოგონება სიახლის კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს.

დ. არა, რადგან ეს ტექნოლოგია არ ითვლება გამოგონებად.

დავალება №5

2025 წლის 7 სექტემბერს ქ. ბაქოში (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) საერთაშორისო ექსპოზიციების ბიუროს მიერ ორგანიზებულ და ოფიციალურად აღიარებულ გამოფენაზე, ქართულმა კომპანიამ წარადგინა გამოგონება, რომელიც აღწერს პიქსელების მინიატურიზაციის ტექნოლოგიას ბევრად უფრო მცირე ეკრანებისთვის. ეს კომპანია ახლა უკვე საპატენტო განაცხადის წარდგენას აპირებს საქპატენტში.

საქართველოს საპატენტო კანონის თანახმად, **როგორ უნდა შეფასდეს ეს შემთხვევა?**

ა. გამოფენაზე წარდგენა სიახლეს დაუკარგავდა გამოგონებას, მაგრამ გამოფენებისთვის დაშვებული გამონაკლისი 12 თვის განმავლობაში მოქმედებს.

ბ. გამოფენაზე წარდგენა სიახლეს დაუკარგავდა გამოგონებას, მაგრამ კანონმდებლობით განსაზღვრულ გამოფენებზე ექსპონირებისთვის დაშვებული გამონაკლისი პრიორიტეტის თარიღამდე არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში მოქმედებს.

გ. გამოფენაზე წარდგენამ სიახლე დაუკარგა გამოგონებას.

დ. გამოფენაზე წარდგენამ სიახლე არ დაუკარგა გამოგონებას, რადგან გამოგონების გამოფენაზე წარდგენა არცერთ შემთხვევაში არ ითვლება გასაჯაროებად.

წერითი დავალების ნიმუში

ტექნიკის დარგი: ფარმაცევტიკა

სცენარი: BioFlora Pharmaceuticals – მცენარეზე დაფუძნებული ანტივირუსული კომპოზიცია

BioFlora Pharmaceuticals არის ქართული ბიოტექნოლოგიური კომპანია, რომელმაც შეიმუშავა ანტივირუსული კომპოზიცია. კომპოზიცია მიღებულია ენდემური მცენარის „Salvia caucasica" ექსტრაქტისგან, რომელიც ტრადიციულად გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. კომპანიის კვლევითმა გუნდმა შეძლო სპეციფიკური ნაერთის „სალვიონინის" მიღება და ლაბორატორიული ტესტირებით დაამტკიცა, რომ ის თრგუნავს ფართო სპექტრის RNA ვირუსების რეპლიკაციას. კომპანიას სურს საქპატენტში წარადგინოს საპატენტო განაცხადი სალვიონინის შემცველი ფარმაცევტული კომპოზიციისა და მისი გამოყენების ხერხებისთვის.

კომპანიას აინტერესებს, შესაძლებელია თუ არა თავად სალვიონინის პატენტით დაცვა და შეიძლება თუ არა პატენტუნარიანობაზე გავლენა იქონიოს პუბლიკაციამ, რომელიც აღწერს Salvia caucasica-ს ტრადიციულ გამოყენებას სხვადასხვა ჯანმრთელობის მდგომარეობის სამკურნალოდ. BioFlora Pharmaceuticals, ასევე, შეშფოთებულია ევროპელი კონკურენტის გამო, რომელიც, მათი ვარაუდით, შეიძლება ცდილობდეს მათი ფარმაცევტული კომპოზიციის უნებართვოდ გამოყენებას, თუმცა, სავარაუდოდ, კონკურენტი ნაერთის წარმოებას საქართველოს გარეთ განახორციელებს. BioFlora Pharmaceuticals-ს, ასევე, სურს სამედიცინო ჟურნალში გამოაქვეყნოს სტატია თავიანთი კომპოზიციისა და მისი ეფექტიანობის მტკიცებულებების შესახებ.

გთხოვთ, უპასუხოთ შეკითხვებს ზემოთ მოცემული სცენარის საფუძველზე. წარმოადგინეთ დასაბუთებული სამართლებრივი ანალიზი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტი 1: კონსულტაციის გაწევა კლიენტისთვის – 10 ქულა

კითხვები:

1. (3 ქულა)

რა განსაკუთრებულ უფლებებს მიანიჭებდა საქართველოს პატენტი BioFlora Pharmaceuticals-ს და როგორ შეიძლება გამოიყენონ მათ პატენტი უცხოელი კონკურენტის წინააღმდეგ? რა შეზღუდვები არსებობს უფლებების დაცვაში?

2. (1 ქულა)

რა უნდა მოიმოქმედოს BioFlora Pharmaceuticals-მა, თუ მოუწევს პატენტიდან გამომდინარე უფლებების დაცვა?

3. (4 ქულა)

რა სტრატეგიები უნდა განიხილოს BioFlora Pharmaceuticals-მა, თუ აღმოჩნდება, რომ სალვიონინი ბუნებაში გვხვდება? შეიძლება თუ არა მისი წარმოებულების ან მისი გამოყენების პატენტით დაცვა?

4. (2 ქულა)

რა ქმედება უნდა განახორციელოს BioFlora Pharmaceuticals-მა დამატებითი კლინიკური კვლევის შედეგების ჟურნალებში გამოქვეყნებამდე? რატომ არის ეს საჭირო?

კომპონენტი 2: ეროვნული განაცხადის შედგენა/წარდგენა – 10 ქულა

კითხვები:

1. (2 ქულა)

საქპატენტში საპატენტო განაცხადის შეტანისას რა დოკუმენტები უნდა წარადგინოს BioFlora Pharmaceuticals-მა განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურებისთვის?

2. (2 ქულა)

თუ BioFlora Pharmaceuticals-ს ექნება საგანაცხადო მასალებში ცვლილებების შეტანის სურვილი განაცხადის წარდგენის შემდეგ, რა შეზღუდვები არსებობს? თუ BioFlora Pharmaceuticals-ს სურს გამოგონების ფორმულის 10 ახალი მუხლის დამატება, რა უნდა მოიმოქმედოს ამისათვის?

3. (3 ქულა)

BioFlora Pharmaceuticals-ს სურს საპატენტო განაცხადის წარდგენა ინგლისურ ენაზე. დასაშვებია თუ არა ეს? რა მოთხოვნები არსებობს თარგმანის წარდგენასთან დაკავშირებით?

4. (1 ქულა)

თუ BioFlora Pharmaceuticals, საპატენტო განაცხადის საქართველოში წარდგენის ნაცვლად, საერთაშორისო (PCT) განაცხადს შეიტანს, რა ვადაში უნდა მოხდეს საერთაშორისო განაცხადის ეროვნულ ფაზაში შესვლა საქართველოში?

5. (2 ქულა)

ვალდებულია თუ არა საქპატენტი ეროვნულ ფაზაში განაცხადის განხილვისას გამოიყენოს ტექნიკის დონის და პატენტის გაცემის კრიტერიუმების ის განსაზღვრება, რაც არსებობს საერთაშორისო ფაზის ფარგლებში ჩატარებული ძიებისთვის და წინასწარი ექსპერტიზისთვის?

კომპონენტი 3: საერთაშორისო განაცხადის შედგენა/წარდგენა – 10 ქულა

კითხვები:

1. (7 ქულა)

BioFlora Pharmaceuticals დაინტერესებულია საქართველოს ფარგლებს მიღმა პატენტის დაცვით, ამიტომ თქვენ ურჩევთ, განიხილონ საერთაშორისო საპატენტო განაცხადის შეტანა საპატენტო კოოპერაციის შეთანხმების საფუძველზე (PCT).

გთხოვთ, აღწეროთ PCT განაცხადის შეტანის უპირატესობები და შეზღუდვები.

2. (3 ქულა)

თუ BioFlora Pharmaceuticals დაინტერესებულია ევროპული საპატენტო განაცხადით საქართველოში დაცვის მიღებით.

რა ქმედებები უნდა განახორციელონ მათ? გთხოვთ, მიაწოდოთ მათ ამ პროცედურის მოკლე მიმოხილვა.

კომპონენტი 4: პატენტუნარიანობის ანალიზი – 10 ქულა

სცენარი:

გამოგონების ფორმულა (ჰიპოთეტური):

მუხლი 1. ფარმაცევტული კომპოზიცია, რომელიც შეიცავს: Salvia caucasica-დან მიღებულ ნაერთს – სალვიონინს და ფარმაცევტულად მისაღებ მატარებელს, სადაც კომპოზიცია ფორმულირებულია RNA ვირუსების რეპლიკაციის შესაფერხებლად.

ტექნიკის დონე:

2022 წლის ეთნობოტანიკური ჟურნალის სტატია აღწერს Salvia caucasica-ს ნაყენის გამოყენებას, ზოგადი იმუნური გაძლიერებისთვის, მაგრამ არ შეიცავს მონაცემებს სალვიონინის გამოყოფის შესახებ და არც ქიმიურად არ ახასიათებს სალვიონინს, ასევე არ აღწერს მის ანტივირუსულ აქტივობას.

კითხვები:

1. (4 ქულა)

აკმაყოფილებს თუ არა გამოგონების ფორმულის მუხლი 1 სიახლის კრიტერიუმს? რატომ?

2. (3 ქულა)

აკმაყოფილებს თუ არა გამოგონების ფორმულის მუხლი 1 საგამომგონებლო დონის კრიტერიუმს? რატომ?

3. (1 ქულა)

აკმაყოფილებს თუ არა გამოგონების ფორმულის მუხლი 1 სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმს? რატომ?

4. (2 ქულა)

შესაძლებელია თუ არა სალვიონინის პატენტით დაცვა, თუ ის ბუნებრივად მოიპოვება მცენარეში? რატომ?

კომპონენტი 5: სხვა ქმედება – (გამომგონებელი და პატენტის მიღების უფლება) – 10 ქულა

კითხვები:

1. (3 ქულა)

საპატენტო განაცხადის მომზადების შემდეგ, როგორ უნდა განისაზღვროს, ვინ მიეთითოს გამომგონებლად?

2. (2 ქულა)

თუ BioFlora Pharmaceuticals დაადგენს, რომ ადგილობრივი უნივერსიტეტის პროფესორმა, რომელიც პროექტის კონსულტანტია, შესთავაზა მათ იდეები, რომლებიც აისახა გამოგონების ფორმულაში, რა პოტენციური შედეგები შეიძლება წარმოიშვას?

3. (1 ქულა)

ერთ-ერთი გამომგონებელი იღებს მუქარას ყოფილი მეუღლისგან და კონფიდენციალურობის შესანარჩუნებლად სურს თავი აარიდოს თავისი სახელის საჯაროდ ხსენებას პატენტში.

შეუძლია თუ არა გამომგონებელს მოითხოვოს, რომ მისი სახელი არ გამოქვეყნდეს საქპატენტის მიერ და დააკმაყოფილებს თუ არა საქპატენტი ამ მოთხოვნას?

4. (3 ქულა)

როგორ ნაწილდება პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები რამდენიმე თანაგამომგონებელს შორის (ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში)? ზოგადად, შესაძლებელია თუ არა პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების განაწილების შეცვლა თანაგამომგონებლებს შორის? თუ შესაძლებელია, როგორ შეიძლება ამის გაკეთება?

5. (1 ქულა)

თუ თანაგამომგონებელი, რომელმაც არ გადასცა თავისი უფლებები სხვას, გარდაიცვალა, ვის შეუძლია მიიღოს მისი მფლობელობის წილი პატენტში/საპატენტო განაცხადში?